

ქართლის კრემბის უცხანი

№2
912



საქართველოს
საპატრიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

17-23 იანვარი 2019 წ. გამოიცეა 1999 წლის 8 იანვრიდან
ვასი 70 თეთრი

- ✚ პატრიარქის
ქადაგება
- ✚ ნათლისდღება
- ✚ ხელისშევა
იოანე ბათონიშვილის
სიცილი
- ✚ ხელი
გრიგოლ
ნოსოლი
- ✚ პოლიტიკური
თაობებისა შუა
საუკუნეების
საქართველოში
- ✚ „ცოდვაი ჩაიდ
გაუცეა მან ...“
- ✚ ხელი თარიღი -
მრავალის
შასახაბ
- ✚ მღვდელი დიმონ
კურთანიძე



„მაშინ მოვიფა იეჲუ გალილეაში იორდანეფ
იოვანესა ნათლის-ლერაფ მისგან“



ფოტისა და ხობის ეპარება - ახალი საქართველოს უნივერსიტეტი

შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში შეიქმნა ერთი მეტად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საყურადღებო თხზულება – „დოგმატიკონი“. ის წარმოადგენს ქრისტიანული ფილოსოფიისა და ლიტერატურული სანიმუშო ტექსტების ქართულენოვანი თარგმანების კრებულს და მისი ავტორი და შემდგენელია შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნე, ფილოსოფოსი და თეოლოგი – არსენ იყალთოელი (XI-XII სს.). „დოგმატიკონი“ დაგეგმილი იყო, როგორც უნივერსალური სახელმძღვანელო ყოველი ქრისტიანისთვის. მას სარწმუნო და საიმედო პასუხები უნდა გაეცა მორწმუნეთათვის და მათ-თვის ჭეშმარიტი ქრისტიანობისკენ მიმავალი გზები უნდა გაეკაფა. ფილოსოფიის ისტორიის ცნობილ-მა ქართველმა მკვლევარმა, გურამ თევზაძემ (1932-2018 წწ.), ერთხელ სავსებით მართებულად შენიშნა, რომ „დოგმატიკონი“ არის „თეოლოგიის შეჯამება“, რადგან ქართველი მკითხველი მასში იპოვის ჭეშმარიტი ქრისტიანული რელიგიისა და თეოლოგიის ძვირფას ნაკრებს; მაშასადამე, ეს თხზულება დიადი საღვთისმეტყველო აზრების ერთგვარ საჯილდაო ქვას წარმოადგენს.

„დოგმატიკონი“, როგორც ზემოთ აღინიშნა, ქრისტიანობის მნიშვნელოვანი ფილოსოფიური და თეოლოგიური ტექსტების ძველქართული თარგმანების კრებულია. ქართული თარგმანები არსენ იყალთოელს ეკუთვნის, ტექსტთა შემკრები და კრებულის შემდგენელიც თავად არსენია. ამას მოწმობს ამ ნაშრომის თარგმანთა საწყისი გვერდები და მათზე თანდართული ანდერძები. კრებულში გაერთიანებულია ქრისტიანობის წამყვანი თეორეტიკოსების (ფილოსოფოსების, თეოლოგების, ქრისტოლოგების და ა.შ.) ცნობილი ნაშრომები. უნინარეს ყოვლისა, შეიძლება დასახელდნენ შემდეგი ავტორები: კირილე ალექსანდრიელი, ანასტასი სინელი, იოანე დამასკელი, თეოდორე აბუკურა, ნიკიტა სტითატი, მიქაელ ფსელოსი, ევსტრატე ნიკეელი და მრავალი სხვ.

პოლიტიკური თეოლოგია შუა საუკუნეების საქართველოში

ქვემოთ არსენ იყალთოელის თეორიული შემუშავების ამ გვირგვინს განვიხილავთ ახალი პერსპექტივიდან და მას ნავიკოთხავთ, როგორც ქართული პოლიტიკური თეოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს. ამ კუთხით ეს ნაშრომი კერძოდ კიდევ არ არის ჯეროვნად გამოკვლეული და შეფასებული!

არსენ იყალთოელმა „დოგმატიკონში“ თავმოყრილი ძველქართული თარგმანები ქრისტიანული აზროვნების მდიდარი საუნჯიდან (ფილოსოფია, თეოლოგია, სამართალი, ლიტერატურა და ა.შ.) საგანგებოდ შეარჩია. ყოველივე ეს ემსახურებოდა მის მიერ მკაფიოდ შედგენილ პროგრამას. ამ პროგრამის არის რამდენიმე სიტყვით ასე შეიძლება გადმოიცეს: არსენის მიზანი პოლიტიკური თეოლოგიის შექმნა იყო! აქ საქმე ეხება თეოლოგიური ხედვების გამოყენებასა და მოხმობას პოლიტიკური ქცევის/მოქმედების დასაბუთებისა და ლეგიტიმაციის დროს.

შუა საუკუნეების საქართველოში არსებული პოლიტიკური ფილოსოფიის მოდელის მიხედვით, მეფეს/ხელმწიფეს თავისი ქვეყანა „ლიტერატურიკი“ სიბრძნითა “და დიდი სიფრთხილით უნდა ემართა. მეფე მხოლოდ იმ შემთხვევაში აღასრულებდა ლიტერატურიკ კანონს, თუკი იგი საკუთარი მართვა-გამგებლობის დროს ბრძენთა რჩევებსა და მითითებებს გაითვალისწინებდა. სწორედ ამგვარად წარმართული ქვეყანა თუ მიაღწევდა წარმატებას! გონივრული/საღი მმართველობის

წინაპირობად კი მმართველებს „ლიტერატურიკი“ მეცნიერებისკენ“ სწრაფვა პქონდათ დასახული.

არსენ იყალთოელის პოლიტიკურ-თეოლოგიური პროგრამა ცხად კონტურებს იძენს „დოგმატიკონში“ შესული და შეკრებილი თხზულებების კვალობაზე. ეს დიდი თეოლოგიური/ქრისტოლოგიური კრებული იმდროინდელი ქართველი პოლიტიკოსების წარმატებული საქმიანობის სახელმძღვანელოდ იყო ჩაფიქრებული.

ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებული მართვის წინაპირობად მიჩნეულია ცოდნა, კერძოდ კი, „ლიტერატურიკი“ ცოდნა“. ამასთან ერთად, ქვეყნის მმართველნი უნდა ცდილობდნენ, რომ საქმიანი დიალოგი ანარმოონ მათივე ქვეყნის მცოდნე ხალხთან. მათ, ასევე, ამ სახის საუბრებიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანა უნდა შეძლონ და, უნინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზის ნიშნულები უნდა მოხაზონ. ჭეშმარიტების ცოდნა ქვეყნის მმართველისთვის დიდად საჭირო რამ არის, რადგან მან თავისი ქვეყანა ბრძნულად უნდა მართოს, რათა ლიტერატურის სიტყვა და კანონი შესაბამისად იქნეს აღსრულებული.

მაშასადამე, საქმე ეხება პოლიტიკის, მართვის ხელოვნების დასაბუთებას მორალური პრინციპების მიხედვით: ქვეყანა და მისი მოქალაქენი მორალურად უნდა ცხოვრობდნენ, რათა მათი მორალურ-ზნეობრივი ხრწნა არ მოხდეს. ამის გამო, ის, ვინც ქვეყანას მართავს,

თავადაც უნდა იყოს მორალური. მხოლოდ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო უნარ-ჩვევების მქონე ადამიანებს ძალუბთ ზნეობრივი ქცევითა და ჭეშმარიტებისადმი სიყვარულით მართონ ქვეყანა!

არსენ იყალთოელი წარმატებული სამართალ-მცოდნე და საეკლესიო პოლიტიკოსი იყო. მან მრავალი საეკლესიო კანონის მომზადებასა და შედგენაში მიიღო მონაწილეობა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“, რომელიც მოიცავს 1103/4 წნ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე მიღებული განჩინების ტექსტს. ეს ტექსტი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის არა მარტო წმინდა სამართლებრივი დოკუმენტია, არამედ მასზე თანდართულია მეტად საინტერესო ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის პროლოგი. აյ საქმე გვაქვს სამართლის სისტემურ მონახაზთან, რომელიც ფილოსოფიურ-თეოლოგიური განაზრებებით არის გაჯერებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქრისტი „რუის-ურბნისის ძეგლისწერა“ ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად გამოკვლეული.

„რუის-ურბნისის ძეგლისწერაში“ – ძველი აღთქმის წიგნების სპეციფიკური ხედვითა და ქრისტიანული მსოფლხატის პერსპექტივის გათვალისწინებით – თავდაპირველად განსაზღვრულია ადამიანის ადგილი კოსმოსში, ხოლო შემდეგ კი საეკლესიო კანონებია წარმოდგენილი.

„რუის-ურბნისის ძეგლისწერის“ სტრუქტურა შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

1. პირველ ნაწილში გადმოცემულია მოძღვრება სამყაროს, ადამიანის განვითარებისა და რწმენის შესახებ. სწორედ ამ ნაწილში არის წარმოდგენილი ძირეული ფილოსოფიურ-თეოლოგიური საკითხები და პრობლემები. აქვე კარგად ჩანს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ინიციატორთა და ორგანიზატორთა ფილოსოფიურ-სამართლებრივი და ისტორიული ხედვა.

2. მეორე ნაწილი ამ სამართლებრივი დოკუმენტისა ეხება საქართველოს გაქრისტიანებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესის დაარსების საკითხებს.

3. მესამე ნაწილში სამართლის, განსაკუთრებით კი, საეკლესიო სამართლის ის დოკუმენტებია გადმოცემული და აღნუსხული, რომელთა ცოდნაც ყოველი ქრისტიანის ვალია.

4. მეოთხე ნაწილში მოცემულია ბუნებითი და პოზიტიური სამართლის მოკლე ისტორია, რომელიც, ასევე, ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.



პროფესიონალი თანხიზ ირამარა

„რუის-ურბნისის ძეგლისწერა“ შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს ერთგვარი კონსტიტუციია. მასში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საეკლესიო კანონებსა და რწმენის საკითხებთან ერთად განხილულია ამქვეყნიური ძალაუფლების თეოლოგიური ასპექტები. ამ დოკუმენტშიც ხადად იკითხება, რომ ამქვეყნიური ძალაუფლებისა და მართვის საწყისები საკრალურ ფუნდამენტს ეფუძნება. გარდა ამისა, ეს ტექსტი შუა საუკუნეების ქართული სახელმწიფოს სამართლებრივი და საკანონმდებლო საფუძვლების კარგი ანარეკლია და იმის შესახებაც გვაწვდის ცნობებს, თუ როგორ ყალიბდებოდა საღვთისმეტყველო-სამართლებრივი ცოდნის სისტემა შუა საუკუნეების საქართველოში, რა ურთიერთმიმართება იყო ბიზანტიელ და ქართველ სამართლმცოდნებს შორის. თუმცა, ამ კუთხით, საჭიროა ინტენსიური შედარებითი კვლევა-ძიების წარმოება; მით უფრო, რომ არსენ იყალთოელმა ძველქართულად თარგმნა ბიზანტიური სამართლის დოკუმენტი, პატრიარქ ფოფის (IX ს.) „დიდი სჯულისკანონი“. ეს თარგმანი საკმაოდ სხვაობს ამავე ნაშრომის დღემდე შემორჩენილი ბერძნული ვერსიებისგან. ამდენად, არსენის თარგმანს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ ნაშრომის თავდაპირველი ტექსტის რეკონსტრუირების საქმეში.

ცნობილია, რომ არსენ იყალთოელი დავით აღმაშენებლის არა მარტო ერთგული მრჩეველი იყო, არამედ მან დიდი წვლილი შეიტანა ამ დიდი ქარ-

თველი მეფის თეოლოგიური ცოდნის სრულყოფის საქმეში. დავით მეფის სურვილით მან ძველქართულად თარგმნა ანდრეა კრიტელის (VII ს.) „დიდი კანონი“. მოგვიანებით, სწორედ ეს თარგმანი დაედო საფუძვლად დავით აღმაშენებლის თხზულებას „გალობანი სინანულისანი“. თუკი აქვე გავითვალისწინებთ ზემოთ განხილული „რუის-ურბნისის ძეგლისნერის“ დანიშნულებასაც, მაშინ შესაძლებელია პოლიტიკური ძალაუფლების თეოლოგიური ლეგიტიმაციის/დასაბუთების შესახებ ვიმსჯელოთ. საქმე ეხება საკრალურის („წმიდა“-ს) შემოყვანას პოლიტიკური ძალაუფლების სივრცეში, რომელმაც შემდეგ უნდა განსაზღვროს კიდეც პოლიტიკური ერთობა და მისი ნამდვილი ფუნქცია. აი, ამგვარად იკვეთება პოლიტიკურ-თეოლოგიური მართვის მოდელი, რომლის მიხედვითაც მეფე/ხელმწიფე/მმართველი თავისი პიროვნულობის ორმაგი სპეციფიკის მეშვეობით – როგორც მოკვდავი არსება და როგორც სახელმწიფოს პოლიტიკურ-რელიგიური იდენტობას აყალიბებს.

პოლიტიკური თეოლოგიის ეს მოდელი თეო-

ლოგიურ-პოლიტიკური განზომილების მუდმივობის დებულებას ეფუძნება. რადგან ქრისტიანობა პოლიტიკური ძალაუფლების ორ (ზეციურ და მიწიერ) წყაროს უსვამს ხაზს, ამით შესაძლებელი ხდება იმქვეყნიურ და ამქვეყნიურ ძალებს შორის მჭიდრო ურთიერთმიმართების დამყარება. სწორედ ეს ქმნის ქრისტიანულად გაგებული სოციალური ერთობის არსა. აქ საქმე ეხება სოციალური ერთობის ინსტიტუციონალიზების პროცესს, რომელიც საზრისს სიმბოლურ-საკრალური ინსტიტუტების მეშვეობით იძენს. ამგვარად ხდება სოციალური ერთობის კონსტრუირება, რადგან პოლიტიკური ერთობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოტივების მეშვეობით განიცდის დაფუძნებას.

თენიში ირემაძე
ახალი საქართველოს
უნივერსიტეტის პროფესორი,
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივის
დირექტორი